



განახლების თარიღი: 09.09.2015

საგრანტო კონკურსი პროფესიული განათლების დაწესებულებებისთვის კითხვა-პასუხის დოკუმენტი

- კ. როგორც წესი, თქვენ უგზავნით სხვადასხვა უნივერსიტეტებს/ ორგანიზაციებს რაიმე სახის ინფორმაციას ახალი პროექტების თაობაზე, თუ აუცილებელია თქვენს ვებ-გვერდზე სისტემატიურად შესვლა ახალი გრანტების შესახებ ინფორმაციის მისაღებად?
- კ. გთხოვთ, სიახლეებისა და კითხვა-პასუხის სანახავად პერიოდულად შეამოწმოთ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს პროექტის ვებ-გვერდი (<http://mcgeorgia.ge/index.php/main/project/5>) და პროექტის [ფეისბუქის გვერდი](#).
მნიშვნელოვანი ინფორმაცია და განცხადებები აიტვირთება ვებ-გვერდზე და ელექტრონულად დაეგზავნება იმ საკონტაქტო სიას, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენს მონაცემთა ბაზაში. შეკითხვის გამოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: iswd@pem-consult.de
- კ. ჩვენ, როგორც ბიზნესის წარმომადგენელს, გვაქვს თუ არა უფლება ვიყოთ განაცხადის მთავარი წარმომდგენი /მთავარი აპლიკანტი?
- კ. კერძო და/ან საჯარო კომპანიებს, რომელთაც განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ გააჩნიათ ავტორიზაცია, შეუძლიათ წარმოადგინონ კონცეფციის დოკუმენტი ძირითადი აპლიკანტის სახით. თუმცა, გრანტის მიმღებად შერჩევიდან სამი თვის განმავლობაში, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, მათ უნდა უზრუნველყონ ავტორიზაციის მიღება.
- კ. ითვალისწინებს თუ არა საგრანტო პროგრამა უკვე გაწეული ხარჯების ნაწილის კომპენსირებას?
- კ. საგრანტო კონკურსი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ვერ აანაზღაურებს გრანტის შეთანხმების დღემდე ან/და შეთავაზების მომზადებასთან დაკავშირებულ აპლიკანტის მიერ მოთხოვნილ ხარჯებს.
- კ. შეგვიძლია თუ არა პარტნიორად გვყავდეს არა ქართული, არამედ უკრაინული საჯარო ან კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება?
- კ. არ არის შეზღუდვა აპლიკანტის საერთაშორისო პარტნიორის წარმოშობის ქვეყანასთან დაკავშირებით, თუ საერთაშორისო პარტნიორი აკმაყოფილებს საგრანტო კონკურსის კრიტერიუმებს და არ არის „განაცხადების მოთხოვნის“ 2.1 სექციის აკრძალული ორგანიზაციების ჩამონათვალში. გრანტის მიმღებად შერჩევიდან სამი თვის განმავლობაში,



საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, მათ უნდა უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ავტორიზაციის მიღება.

3. შეიძლება ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც არ აქვს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაცია, იყოს უფლებამოსილი საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, თუ მის საერთაშორისო პარტნიორს აქვს საერთაშორისო ავტორიზაცია?
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც არ აქვს ავტორიზაცია და ჰყავს საერთაშორისო პარტნიორი საერთაშორისო ავტორიზაციით, შეუძლია წარმოადგინოს კონცეფციის დოკუმენტის შეთავაზება. გრანტის მიმღებად შერჩევიდან სამი თვის განმავლობაში, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, მათ უნდა უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ავტორიზაციის მიღება.
3. შეიძლება თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციამ საგრანტო კონკურსში წარადგინოს კონცეფციის დოკუმენტი, როგორც ძირითადმა აპლიკანტმა?
3. საერთაშორისო ორგანიზაციას შეუძლია წარმოადგინოს კონცეფციის დოკუმენტი ძირითადი აპლიკანტის სახით. თუმცა, გრანტის მიმღებად შერჩევიდან სამი თვის განმავლობაში, საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე, მათ უნდა უზრუნველყონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ავტორიზაციის მიღება.
3. შეიძლება თუ არა დამოუკიდებელი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა განხილული იყოს როგორც ინფორმაციის სანდო წყარო?
3. ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის წყაროების, ეროვნული სტატისტიკის, საერთაშორისო და ეროვნული დამოუკიდებელი დონორების და სოციოლოგიური სააგენტოების მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის კვლევა შეიძლება გამოყენებული იყოს საპროექტო წინადადებებში. საგრანტო კონკურსი ძირითადად დაეყრდნობა შრომის ბაზრის ინფორმაციას და მთავრობის ოფიციალურ მონაცემებს საგრანტო პროექტების შესაფასებლად და შესარჩევად.
3. შეიძლება თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან გამოყენებული კომპიუტერები, ასლის გადამღები დანადგარები და სხვა მოწყობილობები ჩაითვალოს არაფულად კონტრიბუციად?
3. თანადაფინანსება შეიძლება იყოს ფულადი ან არაფულადი. ფინანსური კონტრიბუცია შესაძლოა არალიმიტირებული იყოს: ნაღდი ფული, გრანტები, სესხები (ძირი და პროცენტი), საბანკო გარანტები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განმცხადებელს შეუძლია უზრუნველყოს საკუთარი რესურსით ოღონდ არა ა.შ.შ. სამთავრობო თუ არასამთავრობო დონორისგან.



არაფულადი სახის კონტრიბუცია შესაძლოა იყოს საქონელი, მომსახურება, შრომა, სწავლება, დანადგარები, მასალები, მიწა და ნაქირავები ქონება, რომელსაც განმცხადებელი უზრუნველყოფს. არაფულადი სახის კონტრიბუციის ღირებულება შესარჩევი პროცესის დროს გამოთვლილი იქნება საქონლის, მომსახურებისა თუ შრომის სავარაუდო ღირებულების მიხედვით, შეფასდება მისი მიზნობრიობა და პროექტთან შესაბამისობა. არაფულადი სახის კონტრიბუციის ღირებულება სამართლიანი საბაზრო ფასის მიხედვით დადგინდება.

თანადაფინანსებასთან დაკავშირებული ყველა კონტრიბუცია, ფულადი თუ არაფულადი სახის, მისაღება იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი კონტრიბუცია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- კონტრიბუციის შემოწმება შესაძლებელია განმცხადებლის საბუღალტრო ჩანაწერებიდან და არ წარმოადგენს სხვა გრანტისთვის ჩადებულ კონტრიბუციას.
- კონტრიბუცია საჭიროა და შესაბამისია პროექტის ამოცანების სწორად და ეფექტურად განხორციელებისთვის.
- კონტრიბუცია დაშვებულია ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ხარჯების პრინციპების მიხედვით და ამ კონტრიბუციის გადახდა არ ხდება ა.შ.შ მთავრობის მიერ დაფინანსებული სხვა გრანტის ან სესხის თანხიდან.

კ. გვანტერებს საგრანტო კონკურსის წარმოსადგენ კონცეფციაში წარმოდგენილი პროექტების რაოდენობა თუ არის შეზღუდული? (ანუ ერთი კონცეფცია წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი პროექტით თუ შესაძლებელია რამდენიმე?)

პ. უფლებამოსილი ორგანიზაციები მათივე საჭიროებებიდან, შესაძლებლობებიდან და გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე შეიძლება იყვნენ რამდენიმე საპროექტო წინადადების პარტნიორი.

თუმცა, წამყვანი განმცხადებლის სახით უფლებამოსილ ორგანიზაციას მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა შეუძლია.

კ. გთხოვთ შეგვატყობინოთ როდის და სად ჩატარდება ტრენინგი პროექტის კონცეფციის შედგენის თაობაზე, ან მოგვაწოდოთ პროექტის კონცეფციის შედგენის ძირითადი პარამეტრები და იმისი ვინაობა ვინც შეიძლება გაგვიწიოს კონსულტაცია.

პ. კონცეფციის დოკუმენტის გაცნობითი და სამუშაო სემინარები გაიმართა 23 და 24 ივლისს - ქ. თბილისში, 28 ივლისს - ქ. თელავში, 30 ივლისს - ქ. ქუთაისში და 31 ივლისს ქ. ბათუმში. საინფორმაციო სესიების და კონცეფციის დოკუმენტის გაცნობითი და სამუშაო სემინარების დროს წარმოდგენილი პრეზენტაციები აიტვირთა ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს ვებ-გვერდზე. შეკითხვების გამოგზავნა შესაძლებელია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: iswd@pem-consult.de. კითხვა-პასუხის დოკუმენტი აიტვირთება იმავე ვებ-გვერდზე და დაინტერესებულ აპლიკანტებს ექნებათ შესაძლებლობა პერიოდულად შეამოწმონ სიახლეები.



3. სად შეიძლება ვნახოთ დეტალური ინფორმაცია გრანტის კონკურსის თარიღებთან დაკავშირებით 2015 წლისთვის?
3. საბოლოო ვადა კონცეფციის დოკუმენტის ჩაბარებისა გახლავთ 2015 წლის 14 სექტემბერი, 18:00 საათი. წინადადების მოთხოვნა და განაცხადის პაკეტი შეგიძლიათ გადმოტვირთოთ შემდეგი ვებ-გვერდიდან: www.mcageorgia.ge. 4 სექტემბრამდე შეგიძლიათ გადმოგვიგზავნოთ ნებისმიერი შეკითხვა, რომელიც გაგიჩნდებათ მოთხოვნებთან ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაც ეხება საკონკურსო გრანტების სქემას შემდეგ მისამართზე: iswd@pem-consult.de.
3. ქართულ დეველოპერულ კომპანიას ტურიზმის სექტორში შეუძლია თუ არა მონაწილეობა მიიღოს ახალი პროფესიული განათლების პროგრამის შემუშავებაში?
3. კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა, თუკი ისინი აკმაყოფილებენ საჭირო კრიტერიუმებს, რაშიც იგულისხმება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მინიჭებული ავტორიზაცია და აკრედიტაცია ან ჰყავდეს ავტორიზებული პარტნიორი.
3. თუ ჩვენ ვაპირებთ ახალი კომპანიის შექმნას, შეგვიძლია, თუ არა მონაწილეობა მივიღოთ ავტორიზაციის მიღების გარეშე?
3. კონცეფციის დოკუმენტის ჩაბარების ეტაპზე ავტორიზაცია და აკრედიტაცია არ არის საჭირო. თუმცა, აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს წინადადების მოთხოვნებს. ინდივიდუალური სტრატეგიები და მიდგომა, თუ როგორ უნდა იქნას ეს მიღწეული არის აპლიკანტის პასუხისმგებლობა.
3. უნდა წარმოვადგინოთ თუ არა პარტნიორის მხარდაჭერის წერილი კონცეფციის დოკუმენტის ფორმასთან ერთად?
3. კონცეფციის დოკუმენტის ფორმის მოთხოვნებში ძალიან ნათლადაა ჩამოყალიბებული, რომ არანაირი დამატებითი ინფორმაცია არ უნდა იყოს დამატებული კონცეფციის დოკუმენტზე დანართის სახით. თუმცა, პარტნიორებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს შეუძლია დაიცვას პარტნიორების ინტერესები, მაგრამ ეს არ უნდა იყოს წარმოდგენილი დანართის სახით კონცეფციის დოკუმენტის ეტაპზე;
3. ჩართულები უნდა იყვნენ თუ არა პარტნიორები სრულ წინადადებაშიც და კონცეფციის დოკუმენტის ფორმაშიც? უნდა წარმოვადგინოთ თუ არა დეტალური ინფორმაცია მათი როლის შესახებ პროექტში?
3. კონცეფციის დოკუმენტის ფორმის რელევანტური სექციები უნდა იყოს შევსებული. გთხოვთ, წაიკითხოთ ყურადღებით წინადადების მოთხოვნა და მისი დანართები.



3. ჩვენ უნდა მივუთითოთ ის გეოგრაფიული რეგიონი, სადაც პროექტი ხორცილდება, რა უნდა ჩავწეროთ დაგეგმვის რეგიონში, მუნიციპალიტეტში და ა.შ. როდესაც მთავარი სამიზნე ქვეყანა საქართველოა?
3. პროექტის განხორციელების აქტივობები უნდა განისაზღვროს რეგიონების და მუნიციპალიტეტების შესაბამისად. თუკი რაიმე აქტივობები დაგეგმილია საქართველოს გარეთ, შესაბამისი ქვეყანა და მუნიციპალიტეტი უნდა იყოს მითითებული.
3. აპლიკანტის (მთავარი აპლიკანტის და პარტნიორების) საშუალო წლური ბრუნვა ბოლო ორი ფინანსური წლის განმავლობაში უნდა იყოს თანაბარი ან მეტი მოთხოვნილ საგრანტო წვლილზე. თუ ასეა, გთხოვთ, განმარტოთ, როგორ შეუძლიათ ახალ შექმნილმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.
3. ახლად შექმნილ ორგანიზაციებს შეუძლიათ შემოიტანონ თავიანთი წინადადება სხვა დაშვებულ ორგანიზაციებთან ერთად პარტნიორობით/კონსორციუმით და მათ ერთად უნდა დააკმაყოფილონ ყველა საჭირო მოთხოვნა და კრიტერიუმი.
3. საერთაშორისოდ აღიარებული სასერტიფიკატო პროგრამები უნდა ეკუთვნოდნენ თუ არა STEM დარგებს, სოფლის მეურნეობას და ტურიზმს, თუ შეიძლება სასერტიფიკატო პროგრამები არ განეკუთვნოდეს არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ დარგებს?
3. საერთაშორისო სასერტიფიკატო პროგრამები ასევე უნდა იყოს STEM, სოფლის მეურნეობის და ტურიზმის დარგებში, როგორც ეს მითითებულია წინადადების მოთხოვნის დოკუმენტში.
3. წინადადების მოთხოვნაში ერთერთ მთავარ დარგს წარმოადგენს ტურიზმი. შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ ტურიზმის დეტალური აღწერა და კლასიფიკაცია?
3. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ აპლიკანტებმა ძალიან კარგად იციან სწორედ ის სფეროები, რომელშიც გვთავაზობენ ახალ ან განახლებულ ტრენინგ პროგრამებს. მიმდინარე საგრანტო პროექტში პროფესიების საერთაშორისო და/ან ეროვნული კლასიფიკაცია გამოიყენება. აპლიკანტებისგან ველოდებით მათი არჩეული ტრენინგ პროგრამების კარგად დასაბუთებას, სადაც გამოჩნდება მათი ცოდნა შესაბამისი სფეროს მოთხოვნებისა და ქართული შრომის ბაზრის შესახებ. გთხოვთ, გადახედოთ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შემდგომი ინფორმაციისთვის.
3. შეგიძლიათ, განმარტოთ საჯარო ორგანიზაციის წარმომადგენლის მნიშვნელობა? შეუძლიათ თუ არა სსიპ კონტრაქტორებს (არა თანამშრომლებს) პროექტში მიიღონ მონაწილეობა?
3. საჯარო ორგანიზაციები არიან ორგანიზაციები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან საჯარო სამართლის მიხედვით. აპლიკანტებს უფლება აქვთ ჰყავდეთ კონტრაქტორები რაიმე სახის მომსახურების და/ან პროდუქტის მისაწოდებლად, თუმცა ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ წინადადების მოთხოვნებს.



3. არის თუ არა რაიმე შეზღუდვა კონსორციუმის წევრებისთვის? მაგალითად, შეუძლია თუ არა საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაციას (არა პროფესიული განათლების მიმწოდებლებს) და საკონსულტაციო კომპანიებს, გახდნენ იმ კონსორციუმის წევრები, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესიული განათლების მიმწოდებელი, თუკი მათ აქვთ ნათლად განსაზღვრული პასუხისმგებლობები?
3. არანაირი დამატებითი შეზღუდვა არ ვრცელდება კონსორციუმის წევრებზე, თუკი ისინი აკმაყოფილებენ წინადადების მოთხოვნებს.
3. გთხოვთ განვიმარტოთ, ჩაითვლება თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაზე მიღებული სახელმწიფოს დაფინანსება არა-ფულად წვლილად?
3. სახელმწიფო დაფინანსება ჩაითვლება ფულად და/ან არა-ფულად წვლილად, თუ ის არ არის მიღებული აშშ-ს მთავრობიდან და არ არის გამოყოფილი სხვა პროექტისთვის. მომსახურების, საქონელის და სამუშაოების ღირებულება პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული პროექტის აქტივობებთან და შედეგებთან და უნდა განხორციელდეს პროექტის მიმდინარეობისას.
3. შეუძლია, თუ არა კონსულტანტს, რომელიც დაიქირავა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ჩვენი დარგის პარტნიორისგან იყოს ამ გრანტით გათვალისწინებული თანამშრომლების სიაში?
3. კონსულტანტები, რომლებსაც კონტრაქტი აქვთ დაწესებულებებთან ან სხვა ორგანიზაციებთან, შეიძლება, რომ დაიქირაოს პროექტმა, რომელიც წარდგენილი იქნება საგრანტო კონკურსის ფარგლებში, თუ რა თქმა უნდა ეს არ გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს როლებისა და ფუნქციების გადანაწილებისას გრანტების გაცემისას. ასეთი სახის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ უნდა ეცნობოს ISWD პროექტის გუნდს და შესაბამისი მითითებები უნდა იქნეს გათვალისწინებული.
3. როდესაც ჩვენ შემოგვაქვს საგრანტო განაცხადი, როგორც კონსორციუმს, მაგალითად, უნივერსიტეტი და დარგის პარტნიორი, აუცილებელი მოთხოვნაა თუ არა, რომ აპლიკანტი/გრანტის მფლობელი იყოს უნივერსიტეტი?
3. აპლიკანტის გადასაწყვეტია, თუ რა არის საუკეთესო პარტნიორული გადაწყვეტილება, რომ მიღწეულ იქნას პროექტის მიერ დასახული მიზნები. აუცილებელი მოთხოვნა არ არის, რომ უნივერსიტეტი იყოს მთავარი აპლიკანტი. მთავარ პარტნიორს უნდა გააჩნდეს შესაბამისი პროფესიული განათლების მიმწოდებლის ავტორიზაცია.
3. ერთ ორგანიზაციას შეუძლია თუ არა შემოიტანოს მხოლოდ ერთი განაცხადი, სადაც ორგანიზაცია იქნება მთავარი აპლიკანტი, ხოლო სხვა პროექტებში მხოლოდ პარტნიორი?



3. ერთ ორგანიზაციას შეუძლია იყოს მთავარი აპლიკანტი მხოლოდ ერთ წინადადებაში, ხოლო სხვა პროექტებში არ არის შეზღუდვა პარტნიორობის რაოდენობაზე.
3. შეუძლია თუ არა, საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ატარებს ტრენინგებს და გასცემს სერტიფიკატებს შემოიტანოს აპლიკაცია ქართველ პარტნიორთან ერთად, როგორ მთავარმა აპლიკანტმა? პროექტთან დაკავშირებული ყველაწარმოადგინეთ აქტივობა ჩატარდება საქართველოში, მაგრამ აპლიკანტი იქნება ევროკავშირის ქვეყნიდან.
3. საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ატარებს ტრენინგებს და გასცემს სერტიფიკატებს, შეუძლია შემოიტანოს განაცხადი, როგორც მთავარმა პარტნიორმა კონსორციუმში ან მარტომ, თუკი ორგანიზაცია აპირებს, რომ გახსნას პროფესიული განათლებისა და გადამზადების ცენტრი (მიიღოს ავტორიზაცია განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრისგან) საგრანტო კონკურსში მოხვედრიდან 3 თვეში.
3. შეუძლიათ თუ არა მომგებიანმა კომპანიებმა შემოიტანონ განაცხადი საგრანტო კონკურსზე და მათი მოგება გათვალისწინებული იყოს ფინანსურ წინადადებაში?
3. კომპანიებს უფლება აქვთ ჰყავდეთ პარტნიორები საგრანტო პროექტის გათვალისწინებით და მათ შეუძლიათ ფინანსური წვლილი შეიტანონ პროექტის ხარჯების ღირებულებების განაწილებაში. ასეთ შემთხვევაში, მათი წლიური ბრუნვა შეიძლება ჩაითვალოს იმ მოთხოვნილ ბრუნვაში, რომელიც გათვალისწინებულია წინადადების მოთხოვნაში.
3. არის თუ არა რაიმე შეზღუდვა დამატებითი ხარჯების ღირებულების შესახებ ფინანსური განაცხადის ნაწილში?
3. ფინანსური ანგარიშსწორება ტრანშების სახით ხდება, სწორედ ამიტომ ეს შეკითხვა არ შეესაბამება საგრანტო კონკურსის მოთხოვნებს.
3. გთხოვთ, მიგვითითოთ შეკითხვებზე პასუხების გვერდის ბმული?
3. <http://mcageorgia.ge/index.php/main/project/5>
3. გთხოვთ, მიგვითითოთ პროექტის პრეზენტაციის დოკუმენტების ბმული
3. <http://mcageorgia.ge/index.php/main/project/5>
3. კონკრეტულად რა კვალიფიკაციის კადრების მომზადება მოითხოვება საგრანტო კონკურსის მიერ?
3. RFP შეიცავს საკმარის ინფორმაციას თქვენს კითხვასთან დაკავშირებით.



- კ. რას ნიშნავს 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 დონის პროექტები (პროგრამები)?
- კ. გთხოვთ, გაეცნოთ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტს და კონსულტაცია გაიაროთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.
- კ. გთხოვთ, დაგვიკონკრეტოთ, თუ რას გულისხმობთ მოდულური სისტემის პროგრამაში?
- კ. გთხოვთ, გაეცნოთ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტს და კონსულტაცია გაიაროთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში.
- კ. შესაძლებელია თუ არა კონცეფციის ჩაბარების ვადის გახანგრძლივება / ბოლო ვადის გადაწევა?
- კ. კონცეფციის ჩაბარების ბოლო ვადაა 2015 წლის 14 სექტემბერი, 18:00 საათი.
- კ. ვიცით, რომ განიხილება როგორც ახალი პროგრამებისა და სასწავლებლების მხარდაჭერა, ისე ძველი პროგრამების ტრანსფორმაცია არსებული/მოქმედი სასწავლებლებისთვის. ზოგადად, ამ ეტაპზე უფრო რომელ პროექტებს მიანიჭებთ უპირატესობას ახალი პროგრამებისა და ინოვაციური ახალი ტიპის სასწავლო-სატრენინგო ორგანიზაციების შექმნას, თუ ძველი პროგრამების განახლებას არსებული სასწავლებლების ბაზაზე?
- კ. განაცხადების შეფასება და ქულების მინიჭება მოხდება იმ მეთოდოლოგიისა და დანართების მიხედვით, რომლებიც RfP - შია მოცემული.
- კ. სატრენინგო პროგრამის საათობრივი მოცულობის ქვედა და/ან ზედა ზღვარი არსებობს თუ არა?
- კ. თქვენ მიერ შემოთავაზებული სატრენინგო პროგრამები უნდა პასუხობდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს.
- კ. სამშენებლო საქმე და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა შედის თუ არა კონკურსის სამიზნე თემატიკაში?
- კ. გთხოვთ, გაეცნოთ RfP-ს მოთხოვნებს, სადაც მოცემულია საგრანტო პროგრამის მიზნები და პრიორიტეტები. სატრენინგო პროგრამები საამშენებლო და ენერგო-ეფექტურ ტექნოლოგიებში შედის STEM - ის სფეროებში. გთხოვთ, გაეცნოთ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩო დოკუმენტს.
- კ. რამდენ ორგანიზაციაშია შესაძლებელი იყოს თანა-აპლიკანტი?
- კ. გთხოვთ, გაეცნოთ წინადადების მოთხოვნების დოკუმენტს, სადაც ძალიან ნათლადაა ეს საკითხი განხილული.



- კ. არის თუ არა რაიმე ნიმუში ან შეზღუდვა თანამშრომელთა ხელფასებთან დაკავშირებით?
- კ. წინადადების ბიუჯეტი განსაზღვრული უნდა იყოს მიღწეული შედეგებით და მასთან დაკავშირებული ხარჯებით, აქედან გამომდინარე, შეკითხვა არა რელევანტურია.
- კ. რამდენი ექსპერტი შეიძლება მოვიწვიოთ? რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება მათი მოწვევა?
- კ. კონცეფციის დოკუმენტის წინადადების შემუშავება აპლიკანტის პასუხისმგებლობაა, რაც მოიცავს აქტივობების არჩევანს და რესურსების სწორად დაგეგმვას. პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 12 თვე და მაქსიმუმ 24 თვე.
- კ. აქვს თუ არა ტურიზმს რაიმე შეზღუდვა?
- კ. გთხოვთ, გადახედოთ ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს.
- კ. საერთაშორისო კომპანია უნდა იყოს თუ არა ახალი კოლეჯის პარტნიორი, თუ ქართული კომპანია უნდა იყოს ახლად ჩამოყალიბებული კოლეჯის მეწილე?)
- კ. აპლიკანტი (მთავარი ორგანიზაცია და პარტნიორები) პასუხისმგებლობას იღებს საპარტნიორო გარიგების არჩევანზე, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მოთხოვნები.
- კ. შეგვიძლია, თუ არა ერთზე მეტი აპლიკაციის შემოტანა? თუ კი, რამდენი კვალიფიციური პროექტი შეიძლება, რომ დაფინანსდეს?
- კ. წინადადების მოთხოვნების დოკუმენტში ძალიან ნათლად არის ასახული ეს საკითხი და ძალიან გთხოვთ, გაეცნოთ მას. იმ პროექტების რაოდენობა, რომელიც შესაფერისი იქნება დასაფინანსებლად, დამოკიდებული იქნება წინადადებების რაოდენობასა და ხარისხზე და ასევე შესაძლებელ თანხებზე.
- კ. შესაძლებელია, თუ არა, ორგანიზაციამ ცალკე შემოიტანოს აპლიკაცია, რათა მოიპოვოს საგრანტო დაფინანსება ისეთი ტრენინგისთვის საჭირო აღჭურვილობებისთვის, როგორცაა მძღოლების სტიმულატორები და ა.შ.? (შენიშვნა: ეს სტიმულატორები შეიძლება სამომავლოდაც გამოიყენოს ახალმა კოლეჯმა).
- კ. მხოლოდ აღჭურვილობის შესაძენად შემოტანილი აპლიკაცია არ იქნება განხილული, როგორც სრულფასოვანი პროექტი.



3. წინადადების მოთხოვნის მე-12 გვერდზე, აღნიშნულია, რომ ყველა ახალი ტრენინგი და სასწავლო მასალა, რომელიც შემუშავებული იქნება პროექტის ფარგლებში პროექტის დაფინანსებით, მიწოდებულ იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, რათა მოხდეს მათი საჯაროდ გამოყენება. კომპანიის სპეციფიური ტრენინგის მასალები, რომლებიც მანამდე შემუშავდა კომერციული გამოყენებისთვის, შესაძლოა განთავისუფლდეს აღნიშნული მოთხოვნისგან“. საპროექტო წინადადებაში, ჩვენ გვსურს, რომ შევიტანოთ რამდენიმე რელევანტური დისტანციური სწავლების კურსი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სპეციფიური ტრენინგ მასალას და არ გამოიყენება საჯაროდ. გვინტერესებს, დავაზუსტოთ, რამდენად შესაძლებელია ეს გრანტის ფარგლებში?
3. საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების შედეგი უნდა იყოს აკრედიტირებულ პროფესიული განათლების პროგრამების დანერგვა საქართველოში, რაც როგორც წესი, გულისხმობს ტრენინგ კურსების საჯაროდ ხელმისაწვდომობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემების მეშვეობით. ეს ეხება ნებისმიერ ახალ პროფესიული განათლების პროგრამას, რომელიც შემუშავებულ იქნება პროექტის განხორციელების ეტაპზე. გამონაკლისი აღნიშნული წესისგან, შეიძლება იყოს მხოლოდ ტრენინგ კურსები, რომლებიც შემუშავდა საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერამდე, კომერციული მიზნებისთვის და დაცული აქვს საავტორო უფლებები, მაგრამ წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს ახალი პროგრამის დასაწერად საქართველოში და/ან ძალიან მოთხოვნადია კონკრეტული დარგის მიერ. ჩვენი სურვილია, რომ საერთაშორისოდ შემუშავებული ტრენინგ პროგრამები დაინერგოს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში.
3. ბაზრის კვლევა კონცეფციის წარდგენამდე (14 სექტემბრამდე) არის ჩასატარებელი და წარსადგენი, თუ I ეტაპის გადალახვის შემდგომ შეიძლება წარდგენა?
3. ბაზრის კვლევის წარმოდგენა საჭირო არ არის კონცეფციის წინადადებასთან ერთად. საპროექტო წინადადებები უნდა იყოს შედგენილი საბაზრო კვლევის/ანალიზის მონაცემების შედეგად.
3. შესაძლებელია თუ არა ბაზრის კვლევა ჩაატაროს აპლიკანტმა ან პარტნიორმა ორგანიზაციამ თუ ის აუცილებლად გარე ორგანიზაციის მიერ უნდა იყოს ჩატარებული?
3. ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ წინადადებები გამყარებული იქნება უახლესი ინფორმაციით საქართველოს შრომის ბაზრის შესახებ. ინდივიდუალური მიდგომა არის აპლიკანტის პასუხისმგებლობა.
3. ისეთი დოკუმენტები როგორც არის: ორგანიზაციის რეგისტრაციის ან დაარსების იურიდიული დოკუმენტი, ამჟამინდელი იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ განმცხადებელი არ იმყოფება გაკოტრების პროცესში, განმცხადებლის (როგორც წამყვანი ორგანიზაციის, ასევე ყველა პარტნიორის) ორგანიზაციაში ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩატარებული აუდიტორული შეფასების დამადასტურებელი დოკ. სარემონტო ობიექტ(ებ)ის, შენობ(ებ)ისა და არქიტექტურული გეგმ(ებ)ის სურათები, უძრავი ქონების მფლობელობის სანოტარო აქტი და



სხვა, წარდგენილი უნდა იყოს კონცეფციის ჩაბარებისას, თუ მხოლოდ I ეტაპის გადალახვის შემდგომ?

- კ. წინადადების მოთხოვნა და დანართები (კონცეფციის დოკუმენტის შეტყობინება) გარკვევით აღწერს აღნიშნულს: განიხილება მხოლოდ კონცეფციის დოკუმენტის წინადადება.
- კ. აუცილებელია, რომ პროექტის აპლიკანტი იყოს აკრედიტირებული კოლეჯი, ხოლო კომპანია პარტნიორი? თუ შესაძლებელია კომპანია იყოს მთავარი აპლიკანტი, ხოლო კოლეჯ(ებ) იყვნენ პარტნიორები?
- კ. წინადადების მოთხოვნა ძალიან ნათლად აღწერს ამას შემდეგ თავში: დასაშვები ორგანიზაციები.
- კ. შეიძლება თუ არა, რომ საგრანტო წინადადება იყოს ერთ მილიონზე ნაკლები ბიუჯეტით, თუკი გვეყოლება საერთაშორისო პარტნიორი?
- კ. დიახ, აპლიკანტს, რომელსაც ჰყავს საერთაშორისო პარტნიორი, შეუძლია შემოიტანოს საგრანტო წინადადება, რომლის ბიუჯეტი ერთ მილიონ ა.შ.შ დოლარზე ნაკლებია.
- კ. რადგან პროექტის ფარგლებში იგულისხმება ტრენინგ ცენტრის პროფ. სასწავლებლად გარდაქმნა, ანუ ახალი პროფ. სასწავლებლის შექმნა, აუცილებელი არის თუ არა, კონცეფციის წარდგენის დროს წარვადგინოთ 5 წლიანი დეტალური ბიზნეს გეგმა?
- კ. მხოლოდ კონცეფციის დოკუმენტის ფორმა უნდა იქნას შევსებული და წარმოდგენილი კონცეფციის წინადადების სააპლიკაციო ეტაპზე.
- კ. არის თუ არა აუცილებელი შენობის საკუთრებაში ფლობა?
- კ. პროფესიული განათლების ცენტრის/მიმწოდებლის შენობები შესაძლოა იყოს საკუთრებაში ან ნაქირავები ხანგრძლივი ხელშეკრულების ვადით (მინიმუმ 5 წელი პროექტის მიმდინარეობის გარეთ).
- კ. იმ შემთხვევაში თუ შენობის მოდერნიზაციის ხარჯი უფრო მეტია, ვიდრე მოდერნიზირებული შენობის იჯარა, არის თუ არა შესაძლებელი იჯარის დაფინანსება გრანტის ფარგლებში?
- კ. საგრანტო კონკურსის კონცეფციის წინადადების დოკუმენტი ეფუძნება შედეგებს. მიდგომა, რომელიც დააკმაყოფილებს საგრანტო კონკურსის მოთხოვნებს და მასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა წარმოადგენდეს ინდივიდუალურად აპლიკანტის არჩევანს, რაც გამოარჩევს ამ წინადადებას ყველა სხვა შემოსული წინადადებებისგან. გთხოვთ, გადახედოთ წინადადების მოთხოვნის დოკუმენტს და შესაბამის დანართს ნებადართულ და დაუშვებელ ხარჯებთან დაკავშირებით. ყველანაირი ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება და/ან იჯარასთან



დაკავშირებული საკითხები პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ახალ და/ან გაუმჯობესებულ პროფესიული განათლების პროგრამასთან, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ხარჯთა ეფექტურობა, მდგრადობა და სხვა შესაბამისი ასპექტები.

- კ. რადგანაც ჩვენი პროექტი არის ინოვაციური, საინჟინრო ტექნოლოგია, მის განხორციელებას სჭირდება სპეციალური თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა და შესაბამისად თუ გვეძლევა ამ პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებების შეძენის შესაძლებლობა?
- კ. აღჭურვილობის შეძენა დაშვებული ხარჯია, თუ ეს აღჭურვილობა პირდაპირ კავშირშია ახალ ან გაუმჯობესებულ პროფესიული განათლების პროგრამასთან, ეს ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს გრანტის ფარგლებში, თუკი თანხა იქნება მისაღები.
- კ. თუ არსებულ ინფრასტრუქტურას სჭირდება გარემონტება მოდერნიზაცია, როგორ უნდა დაემთხვას ეს დროში, ანუ თუ 3 თვის განმავლობაში ვალდებულები ვართ გვექონდეს პროფესიული სასწავლებლის ავტორიზაცია, მაგრამ მოდერნიზაციასა და ტექნიკურ აღჭურვას სჭირდება მაგალითად 3-4 თვე, შესაძლებელია თუ არა ავტორიზაცია ავიღოთ მოდერნიზაციის დასრულების შემდგომ?
- კ. კომპეტენტური უფლებამოსილი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოში ავტორიზაციის გაცემაში, არის განათლების ხარისხის გაუმჯობესების ეროვნული საბჭო. გთხოვთ, მათთან გაიაროთ კონსულტაცია და წარუდგინოთ თქვენი პროექტის დიზაინი.
- კ. არის თუ არა შესაძლებელი (ავტორიზაციის მოცემულ ვადაში ასაღებად) მოდერნიზაცია ჩატარდეს წინასწარ, კრედიტით, ხოლო გრანტის ფარგლებში ანაზღაურდეს მოდერნიზაციისთვის გაწეული წინასწარი ხარჯები?
- კ. თუკი მოხდა გრანტის გაცემა, ხარჯები საგრანტო ხელშეკრულების გაცემამდე არ არის დაშვებული ხარჯი და შესაბამისად არ მოხდება მისი ანაზღაურება.
- კ. განაცხადის შემოტანის დროისათვის პარტნიორი ორგანიზაციების ჯამური ბრუნვა იქნება გათვალისწინებული, თუ მხოლოდ განაცხადის შემომტანი ორგანიზაციის ბრუნვა განსაზღვრავს გრანტის ფარგლებში მოთხოვნილ თანხას?
- კ. აპლიკანტის წლიური ბრუნვა (წამყვანი ორგანიზაცია და პარტნიორები) უნდა შეესაბამებოდეს ან უფრო მეტი უნდა იყოს მოთხოვნილი გრანტის რაოდენობაზე 2013 და 2014 წლებზე.
- კ. კონცეფციის ფორმაში მითითებულია, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს OSH (Occupational Safety & Health) სტანდარტი. თუ შეგიძლიათ განგვიმარტოთ, ეს მოიაზრებს OSH-ის სასწავლო მოდულებში ინტეგრირებას, თუ ორგანიზაციაში ამ სტანდარტის დანერგვას?



3. OSH სტანდარტები წარმოადგენს მრავლისმომცველ საკითხს, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს სტანდარტები აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული პროექტის ყველა ასპექტში.
3. შესაძლებელია თუ არა, რომ პროექტის ფარგლებში ჩაიდოს პროექტის მენეჯმენტის ხარჯები?
3. საგრანტო კონკურსის აპლიკანტის ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი ტრანშებით დაყოფილ ბიუჯეტში, ანუ ყველა ხარჯი ბიუჯეტში უნდა იყოს დაკავშირებული გარკვეული აქტივობის შედეგთან. ტრანშების ხარჯების დეტალური ჩაშლა კონცეფციის დოკუმენტის ფორმაში საჭირო არ არის.
3. შესაძლებელია, თუ არა, რომ პროექტის ფარგლებში ჩაიდოს გარკვეული კამპანიის ხარჯები. მაგალითად გოგონებისა და ქალების ჩართულობის უზრუნველყოფად ჩატარებული კამპანია ან სხვა ღონისძიება?
3. საგრანტო კონკურსის აპლიკანტის ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი ტრანშებით დაყოფილ ბიუჯეტში, ანუ ყველა ხარჯი ბიუჯეტში უნდა იყოს დაკავშირებული გარკვეული აქტივობის შედეგთან. ტრანშების ხარჯების დეტალური ჩაშლა კონცეფციის დოკუმენტის ფორმაში საჭირო არ არის.
3. შესაძლებელია თუ არა პროექტის ფარგლებში, შვედიხით შშმ პირებისთვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა?
3. საგრანტო კონკურსის აპლიკანტის ბიუჯეტი უნდა იყოს წარმოდგენილი ტრანშებით დაყოფილ ბიუჯეტში, ანუ ყველა ხარჯი ბიუჯეტში უნდა იყოს დაკავშირებული გარკვეული აქტივობის შედეგთან. ტრანშების ხარჯების დეტალური ჩაშლა კონცეფციის დოკუმენტის ფორმაში საჭირო არ არის.
3. ასოციაციას შეუძლია თუ არა შემოიტანოს განაცხადი, როგორც მთავარ აპლიკანტს (პოტენციურ გრანტიორს) კონსორციუმის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს პროფესიული პროვაიდერების ჩართულობას, როგორც მთავარი პარტნიორისა?
3. კონსორციუმის შემთხვევაში, ავტორიზებული პროფესიული განათლების დაწესებულება უნდა იყოს მთავარი აპლიკანტი;
3. თუკი, ასოციაციას აქვს უფლება, რომ შემოიტანოს აპლიკაცია, როგორც მთავარმა აპლიკანტმა დაფინანსების მიღების შემთხვევაში თუ ასოციაცია გახდა გრანტიორი, უნდა მიიღოს თუ არა ასოციაციამ პროფესიული განათლების პროგრამების აკრედიტაცია, თუკი გრანტიორს უკვე ჰყავს პროფესიული განათლების პროვაიდერი, როგორც მთავარი პარტნიორი, რომელიც ადმინისტრირებას გაუწევს ხარისხებს და შესაბამისად გასცემს დიპლომებს?



3. თუკი, მთავარი აპლიკანტი არ არის ავტორიზებული პროფესიული განათლების დაწესებულება, მან უნდა მოიპოვოს ასეთი ავტორიზაცია, გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერამდე თუკი მოხდება მისი გრანტიორთა სიაში მოხვედრა. აპლიკანტი(ები) პასუხისმგებელნი არიან პარტნიორულ გარიგებაზე და პარტნიორების როლების განაწილებაზე, რომელიც დამოკიდებულია მათ მიდგომაზე, რაც თავის მხრივ უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსის პირობებს.

3. შეიძლება თუ არა, რომ დავურთოთ კონცეფციის დოკუმენტს კონტრაქტების ასლები თუ საკმარისია, რომ ვახსენოთ დამსაქმებლის სახელწოდება?

3. არანაირი სახის დანართი კონცეფციის დოკუმენტთან არ იქნება მიღებული ან განხილული.

3. საგრანტო განაცხადში, რომლის ბიუჯეტი 1,000,000 ა.შ.შ. დოლარს აღემატება, უნდა მონაწილეობდეს საერთაშორისო პარტნიორი კომპანი(ებ)ი და/ან საერთაშორისო საგანმანათლებლო ინსტიტუტები. 1 მილიონ ა.შ.შ. დოლარში იგულისხმება მხოლოდ მოთხოვნილი გრანტის ოდენობა, თუ პროექტის ჯამური ღირებულება ჩვენი თანამონაწილეობის ჩათვლით?

3. საერთაშორისო კომპანიებს ან საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ, როგორც პარტნიორებმა ნებისმიერი ზომის პროექტში. მათი მონაწილეობა აუცილებელია იმ პროექტებში, რომლის გრანტის მოცულობა აჭარბებს 1 მილიონ აშშ დოლარს. თუმცა, ყველა გრანტიორს შეუძლია პარტნიორობა საერთაშორისო კომპანიებთან ან საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. 1 მილიონ აშშ დოლარზე მეტი გრანტის მიმღებს, უნდა ჰყავდეს პარტნიორი, საერთაშორისო კომპანიის ან საგანმანათლებლო დაწესებულების სახით და უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული პარტნიორობის დეტალური გეგმა.

3. აუცილებელია, თუ არა გავითვალისწინოთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნები, თუ შეგვიძლია გადავუხვიოთ მას, თუკი დარგობრივი მოთხოვნები მიგვითითებენ, რომ არსებობს სხვა გზებიც.

3. საგრანტო კონკურსის მიზანია დააკმაყოფილოს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში არსებული საჭიროებები STEM, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის სფეროში, მდგრადი პროფესიული პროგრამების დანერგვით, ამიტომაც აუცილებელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან აკრედიტაციის მოპოვება. შესაძლოა, პროფესიული განათლების პროგრამების მოდულურმა დიზაინმა და მიწოდებამ შემოგთავაზოთ გზები, რომელიც დააკმაყოფილებს თქვენს საჭიროებებს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებს, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს ფარგლებში გასაცემი მთლიანი ან ნაწილობრივი სერტიფიცირების სახით.



3. შეგიძლიათ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს „PIU შედეგები“ (PIU deliverables)? (კონცეფციის დოკუმენტის ფორმა გვ.4)?
3. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ მიღწეული შედეგი (deliverable) (აპლიკანტები, პროექტის მმართველი გუნდი და ექსპერტები), რაც განსხვავდება ქვე-კონტრაქტორების (გარე მომსახურების მიმწოდებლები) მიერ მიღწეული შედეგებისგან.
3. „შემოთავაზებული პროგრამის გასათვალისწინებელი დამატებითი ხარჯი“ არის თუ არა სავარაუდო ხარჯებს გამოკლებული აღჭურვილობის ხარჯები?
3. აღნიშნული მოიცავს მხოლოდ ახალი პროფესიული განათლების პროგრამის შემუშავებისა და მიწოდების პროექტის ღირებულებას, რომელსაც უნდა გამოაკლოთ უკვე არსებული პროფესიული განათლების პროგრამების ან მსგავსი პროფესიის მიწოდების ამჟამინდელი ღირებულება. დამატებითი ხარჯი გულისხმობს ახალი პროგრამის ფარგლებში წარმოშობილ ხარჯებს, მაგალითისთვის თუკი საგანმანათლებლო დაწესებულებას ახალ პროექტამდე ჰქონდა დაცვის მომსახურების ხარჯი თვეში 100 ლარი და ახალი პროგრამის ფარგლებში ეს ხარჯი იზრდება 150 ლარამდე (ვთქვათ იზრდება დასაცავი შენობების ფართი), ამ შემთხვევაში ახალი პროექტის ხარჯებში გასათვალისწინებელია 50 ლარი და არა 150, რადგან 100 ლარი არის ძველი ხარჯი და ახალი პროგრამის არსებობა/არარსებობა გავლენას არ ახდენს მასზე.
3. “წარმოდგენილი ინფრასტრუქტურული და სარემონტო საკმინანობებისთვის გასათვალისწინებელი დამატებითი ხარჯი“ მოიცავს მხოლოდ ფიზიკურად ინფრასტრუქტურას (შენობები, სამუშაო ადგილები) თუ აგრეთვე აღჭურვილობას?
3. ეს ეხება მხოლოდ გარემონტებული ინფრასტრუქტურის ღირებულებას და დანადგარების ღირებულება აღნიშნულ ხარჯში არ მოაზრება.
3. წინადადების მოთხოვნის დოკუმენტის მიხედვით, მოდულური პროფესიული პროგრამები უნდა განახლდეს ან თავიდან უნდა იქნას შემუშავებული. უმეტეს შემთხვევებში, არ ხდება მოდულური პროგრამების არც შემუშავება და არც მიღება შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ. მაგალითად: არ არის ვეტერინარის სპეციალობის დამტკიცებული ახალი ვერსია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია ვეტერინარის სპეციალობის მხოლოდ ძველი პროფესიული სტანდარტი. რა შეიძლება, რომ გაკეთდეს ამ შემთხვევაში? უნდა გავითვალისწინოთ ძველი პროფესიული სტანდარტი თუ დაველოდოთ ახალს (მოდულურს)?
3. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული განათლების პროგრამისთვის კონკრეტული პროფესიული სტანდარტი და/ან ეროვნული კვალიფიკაცია მოძველებულია, აპლიკანტმა ეს უნდა გაითვალისწინოს საპროექტო წინადადების აქტივობების დაგეგმვის ეტაპზე, რათა მოხდეს შესაბამისი დოკუმენტაციის განახლება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობით.



3. შესაძლებელია, თუ არა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდეს მასალების (ლაბორატორიული ტესტების) ხარჯები და მასთან დაკავშირებული წიგნების თარგმნის ხარჯები?
3. პროფესიული განათლების პროგრამის შემუშავების და საპილოტე მიწოდების ღირებულება ჩაითვლება მისაღებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი აკმაყოფილებს წინადადების დოკუმენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ხარჯებთან დაკავშირებით, რომელიც ასევე მოიცავს ტრენინგ პროგრამის პილოტირების დროს გამოსაყენებელი მასალების ხარჯებსაც.
3. თუკი, პროფესიული განათლების პროვაიდერი აპირებს სხვადასხვა პროფესიული განათლების პროგრამების განახლებას ან შემუშავებას, მან უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი კონცეფციის დოკუმენტი და ეს დოკუმენტი უნდა აერთიანებდეს ყველა პროგრამას, თუ შესაძლებელია, თითოეული პროგრამისთვის შეიქმნას კონცეფციის დოკუმენტი?
3. ერთი ორგანიზაციას უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საგრანტო წინადადება, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ერთ ან ერთზე მეტ პროფესიული განათლების პროგრამას.
3. საჭიროა თუ არა კონკრეტული სერვის პროვაიდერის მითითება კონცეფციის ჩაბარების ეტაპზე?
3. სერვის პროვაიდერების (დაჯილდოვებული პროექტების კონტრაქტორების) მითითება კონცეფციის დოკუმენტის პერიოდში არ არის საჭირო. კონტრაქტორები არჩეულნი უნდა იყვნენ MCC და საგრანტო კონკურსის შესყიდვების წესების და პროცედურების დაცვით, როდესაც მოხდება საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება (გრანტის მოპოვების შემთხვევაში) პროექტის შესყიდვების გეგმის გათვალისწინებით.
3. საჭიროა თუ არა კონკრეტული პროფესიული პროგრამების დასახელება კონცეფციის ეტაპზე ბაზრის კვლევის შედეგების დადებამდე? თუ საკმარისი იქნება მიმართულების მითითება, ხოლო კონკრეტული პროგრამების დასახელება მოხდეს ბაზრის კვლევის საფუძველზე პროექტის წერის დროს?
3. სპეციალური პროფესიები, რომლებისთვისაც შემუშავდება პროფესიული განათლების პროგრამა, უნდა იყოს პირდაპირ მითითებული კონცეფციის დოკუმენტის წინადადებაში და გათვალისწინებული უნდა იქნას შრომის ბაზრის მოთხოვნები და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული პროფესიული სტანდარტები.
3. ვინ მოიაზრება თანაპარტნიორად?
3. პარტნიორ(ებ)ი და თანა-პარტნიორები არიან ორგანიზაციები, რომლებიც შედიან კონსორციუმში და პარტნიორობაში ერთმანეთთან, საიდანაც ერთი ხდება წამყვანი აპლიკანტი (ავტორიზებული პროფესიული განათლების მიმწოდებელი ან მალე გახდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული) და წარმოადგენს პარტნიორობას საგრანტო კონკურსის სქემის მიხედვით.



პროფესიული განათლება
ეკონომიკის განვითარებისთვის
INDUSTRY-LED SKILLS AND
WORKFORCE DEVELOPMENT

